როინ მეტრეველი, საისტორიო ნარკვევები , III, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2024.

გამოცემაში შესულია აკადემიკოს როინ მეტრეველის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ისტორიული ნარკვევები. ესაა უშუალოდ ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული, საზოგადოებრივი აზრის ამსახველი მასალა.

გამოცემა გათვალისწინებულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

დავით მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორია. შრომები, ტ. II, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2025.

დავით მუსხელიშვილის „შრომების“ II ტომში გაერთიანებულია მისი ორი ნაშრომი: „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე“ (თბ., 2012) და „საქართველო IV-VIII საუკუნეებში“ (თბ., 2004). პირველი მათგანი ერთი ნაწილია „საქართველოს ისტორიის“ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ერთტომეულისა, რომლის ერთ-ერთი შემდგენელი და კონკრეტული მონაკვეთის – საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე – ავტორია დავით მუსხელიშვილი. მეორე ნაშრომი კი მეცნიერის ფუნდამენტური კვლევაა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის, IV-VIII საუკუნეების შესახებ. ორივე ნაშრომი განკუთვნილია როგორც ფართო მკითხველი საზოგადოების, ისე საქართველოს ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების მკვლევარი სპეციალისტებისათვის.

გელა გამყრელიძე, საქართველოს არქეოლოგიისთვის. იბერია-კოლხური პერიოდი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2024.

წიგნში საქართველოს იბერია-კოლხური პერიოდის (ძვ. წ VI ს. - ახ. წ. IV ს.) ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხებია განხილული. ნაშრომში ახალი არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების ურთიერთშედარებისა და კვლევის საფუძველზე, გარკვეულწილად, ხერხდება საქართველოს ხსენებული ეპოქის ისტორიის მეტ-ნაკლები აღდგენა.

წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის. ის ახალ, საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის სკოლის მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

ჟაკ ლე გოფი, ევროპის დაბადება, მთარგმნელითამარ ლომიძე, გამომცემლობა: დიოგენე, თბილისი, 2025

ნაშრომში ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი ფრანგი მედიევისტი ჟაკ ლე გოფი თანამედროვე ევროპის წარმოშობის საფუძვლებს იკვლევს. ავტორი, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ცვლილებების შესახებ ისტორიული წყაროების ანალიზსა და ღრმა განსჯაზე დაყრდნობით გვიხსნის, როგორ ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებიდან თანამედროვე ევროპის სტრუქტურები და მახასიათებლები. ავტორი სიღრმისეულად განიხილავს ევროპული კონტინენტის ათასაუკუნოვან პერიოდს: ინსტიტუციების, იდეებისა თუ ხალხთა ურთიერთობების მნიშვნელობას, რამაც დღევანდელი ევროპის არსი და რაობა განაპირობა. ისტორიისა და პოლიტიკური რეფლექსიის გამაერთიანებელი ამომწურავი ნაშრომი საშუალებას გვაძლევს, წარსულის პრიზმაში გავიაზროთ ევროპული სამყაროს განვითარების პერსპექტივები და სამომავლო გამოწვევები.

ზურაბ ბატიაშვილი (დარუჯანაშვილი), ტრაპიზონის იმპერია XIV საუკუნეში, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2024.

ნაშრომი ამავე ავტორის მიერ ადრე მომზადებული წიგნების „ტრაპიზონის იმპერიის დაარსება“ და „ტრაპიზონის იმპერია XIII საუკუნეში“ ერთგვარი გაგრძელებაა და მასში აღწერილია ის მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდა XIV საუკუნეში ტრაპიზონსა და მის გარშემო. თუ მანამდე ცალსახა იყო ტრაპიზონის იმპერიის პროქართული ორიენტაცია, ამ პერიოდში თანდათან სუსტდება ქართული გავლენა, რისი მიზეზიც მონღოლთა დაპყრობები და მისგან გამოწვეული შედეგები იყო. საკუთარი შიდა პრობლემებში ჩაფლულ და დასუსტებულ საქართველოს უკვე ნაკლებად ეცალა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებისთვის. თუმცა, როგორც კი საქართველოს მმართველების საშუალება ეძლეოდათ, ყოველთვის აქტიურობდნენ ამ მიმართულებით. სირთულეების მიუხედავად, ტრაპიზონის იმპერია XIV საუკუნეშიც მედგრად იბრძოდა: იგი კვლავინდებურად ასრულებდა ამ სახელმწიფოს შექმნის მომენტისთვის მასზე დაკისრებულ ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას – ერთგვარი ბუფერის როლს ანატოლიასა და კავკასიას შორის.წიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი ისეთ ნაკლებად შესწავლილ საკითხს, როგორიცაა ტრაპიზონის იმპერიაში მიმდინარე ეთნოკონფესიურ პროცესები და მოსახლეობა. მასში განხილულია მსგავსება და განსხვავება ლაზებს, ჭანებსა და ხალდებს შორის. ნაშრომის ერთი თავი დათმობილი აქვს ტრაპიზონის იმპერიის ჯარსა და ფლოტს, სადაც განხილულია მათი მოწყობის წესი და სტრუქტურა.

გიორგი ჭკადუა, მიხეილ ვორონცოვი და კავკასიის სამეფისნაცვლო, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2025

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიამ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო ეტაპობრივად დაიპყრო და ძალმომრეობით შეეცადა მის ადმინისტრაციულ მართვასა და რუსულ იმპერიულ სისტემასთან შერწყმას. მიდგომა შეიცვალა 1845 წლიდან, მას შემდეგ, რაც კავკასიაში მეფისნაცვლად მიხეილ ვორონცოვი გამოგზავნეს.წიგნი ეხება საქართველოს ისტორიის სწორედ ამ გარდამტეხი მომენტის, აგრეთვე მეფისნაცვლის ინსტიტუტისა და რუსული იმპერიული მმართველობის დამყარების პროცესის შესწავლას ინსტიტუციონალიზმის თეორიების მიხედვით.

იეგერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თარგმნეს, შესავალი წერილი, კომენტარები და საძიებლები დაურთეს იზა აღლაძემ და გოჩა საითიძემ, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ., 2024.

წიგნში განხილულია ავსტრიელი მეცნიერისა და მოგზაურის - იეგერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რომელიც XIX საუკუნის პირველი მესამედის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ისტორიის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი წყაროა. ნაშრომში ბევრი საყურადღებო ცნობაა საქართველოზე, მათ შორის, ყველაზე ვრცლად და საფუძვლიანად ტფილისის აღწერაა მოცემული, მისი საყოფაცხოვრებო პირობებით, წეს-ჩვეულებებით, ქუჩების, უბნების, ციხეებისა თუ დიდი ბაზრის აღწერით, ადგილობრივთა გარეგნობის, ტანისამოსისა თუ გოგირდის აბანოების მიმოხილვითა და სხვ. წყარო მიკვლეულია 2005 წელს და მისი ქართულენოვანი თარგმანი პირველად წარედგინება ქართულ სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას.

არჩილ კოხრეიძე, ექვთიმე თაყაიშვილი – საფრანგეთიდან საქართველოში განძის დაბრუნების ინიციატორი 1930-იანი წწ., გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2024.

XX საუკუნის 30-იან წლებში ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მეორე რესპუბლიკის ხელისუფლების წინაშე დააყენა უცხოეთში გატანილი ეროვნული საუნჯის სამშობლოში დაბრუნების საკითხი. მან საგანგებო წერილი გამოუგზავნა ვუკოლ ბერიძეს, რომელშიც გადმოსცა ქვეყნიდან განძის გატანის ისტორია, წარმოაჩინა პოლიტიკური მომენტისათვის არსებული ვითარება, რამაც საფრთხე შეუქმნა ქართულ საჭურჭლეს; დასახა ჩვენი საუნჯის სამშობლოში დაბრუნების გეგმა, სთხოვა ადრესატს, საქართველოს მაშინდელი მთავრობისათვის გაეცნო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ეს, ერთი შეხედვით, კერძო სახის მქონე დოკუმენტი. სწორედ განძის დაბრუნებასთან დაკავშირებულ ამ საარქივო დუკუმენტს ეხება ეს წიგნი.

წალენჯიხა, ფერისცავალების ტაძარი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2024.

შუა საუკუნეების წალენჯიხის ფერისცვალების საკათედრო ტაძარი ისტორიული ოდიშის უმნიშვნელოვანესი სალოცავი იყო.

ტაძრის აგება X-XI – XII-XIII საუკუნეების შუალედებში ივარაუდება, მხატვრობა კი XIV საუკუნის მიწურულს ვამეყ დადიანის (13841396) თაოსნობით, კონსტანტინოპოლიდან მოწვეული მხატვრის, მანუილ ევგენიკოსის მიერაა შექმნილი.

ფერწერული ანსამბლის ისტორია ეკლესიაში არსებული საქტიტორო გამოსახულებებით და ორენოვანი წარწერებით კარგად არის ცნობილი. XVII საუკუნეში ფერწერა მეორე ფენით ნაწილობრივ განახლდა და შეივსო მოხატულობის დაზიანებული ადგილები. გვიან შუა საუკუნეებში ტაძრის ფასადებზე თაღოვანი გალერეები დადიანებმა ეგვტერებად ამოაშენეს. ეგვტერებში ქართული მხატვრობების გვიანი ხანის (XV, XVI, XVII და XIX სს.) ფერწერულ ნაკადთა – სხვადასხვა სტილის საინტერესო სახესხვაობებია თავმოყრილი.

მოხატულობაში რამდენიმე ათეული ისტორიული პორტრეტის სახით საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული რეალიების წარმოდგენისათვის უმნიშვნელოვანესი მასალაა დაცული.

უხვად ილუსტრირებული ორენოვანი ალბომი წალენჯიხის ეკლესიისა და მისი ფრესკების შესახებ განკუთვნილია საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. წიგნის მომზადებაზე მუშაობდნენ ნ. ჩაკვეტაძე (ტექსტის ავტორი), ზ. ჭელიძე (ფოტოგრაფი), ვ. ტუღუში (დიზაინერი).

გიორგი ღვინჯილია, 1905 წლის რევოლუცია ბათუმში და ქართველი მუსლიმები, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2024.

წიგნში აღწერილია 1905 წელს ბათუმში მომხდარი შეიარაღებული აჯანყება. ის აჭარაში მცხოვრებ მუსლიმთა და ქრისტიანთა ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაზე მოგვითხრობს.

იმ პერიოდში ბათუმი კავკასიის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოო ცენტრი იყო, მისი მოსახლეობა კი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და კონფესიებისაგან შედგებოდა. საყოველთაო გაფიცვისა და შეიარაღებული აჯანყების ორგანიზება ეთნიკური და რელიგიური შუღლის უკანა პლანზე გადაწევასა და საერთო ინტერესების ირგვლივ გაერთიანებას მოითხოვდა. ამ ერთობის შექმნაში განსაკუთრებული როლი ქართველ რევოლუციონერ მუსლიმთა ლიდერებმა შეასრულეს.